სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №09

ბათუმი 2 მარტი 2021 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ.ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ლომთათიძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,დათა ნატა" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის როლანდ ქამადაძის სახით,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუქტის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად გამარტივებული შესყიდვით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპლექსისთვის სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონელის და სამშენებლო მასალის შესყიდვა.
(cpv-44500000 – 410 ლარი, 44100000 – 72 ლარი, 39200000 – 6 ლარი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 488 (ოთხასოთხმოცდარვა) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ან მისი ნაწილი შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენეობის მიხედვით.
4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.
4.4 მომსახურება ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის მოწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საჩოგბურთო კომპლექსის სამეურნეო ნაწილის უფროსი რ. შავაძე.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული სააქონლის ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე

ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. საქონლის მოწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 საქონლის მოწოდების ვადაა 2021 წლის 10 მარტამდე.

11.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 20 აპრილამდე.

,,შემსყიდველი“

ა(ა)იპ ქ. ,,ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“
საიდენტიფიკაციო კოდი 445415355
მის: ქ.ბათუმი ტბეთის ქ.#3

დირექტორი გ. ლომთათიძე

,,მიმწოდებელი“

შპს ,, დათანატა“
სს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TBCBGE22
ა /ნ GE63TB 7709 3360 5010 0001
საიდ.კოდი 445 488 650

დირექტორი რ. ქამადაძე

Roland Kamadadze

Подписано цифровой подписью: Roland Kamadadze
Дата: 2021.03.02 15:07:59 +04'00'

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა	cpv
1	ანტიკოროზიული საღებავი სინთეთიკური მწვანე 3 კგ.	ცალი	3	20	60	44111400
2	სინთეთიკური გამხსნელი 0,7 ლ.	ცალი	3	4	12	44111400
3	ფუნჯი	ცალი	2	3	6	39224210
4	ურიკის ბორბალი უკამერო	ცალი	4	15	60	44531400
5	თოხი	ცალი	1	10	10	44511310
6	ნიჩაბი სახელურის გარეშე	ცალი	2	7	14	44511110
7	ხის ტარი	ცალი	3	4	12	44514000
8	ფიცარი 4*5	მეტრი	30	3	90	44191100
9	კარის საკეტი furor (t5d)	ცალი	1	40	40	44521110
10	გულანა 90მმ	ცალი	8	20	160	44522500
11	ცილინდრულის გულანა	ცალი	3	7	21	44522500
12	ლითონის ანჯამა20*80	ცალი	1	3	3	44523000

სულ ჯამი: 488 (ოთხასოთხმოხდარვა) ლარი